


საქართველოს



იმისთანა წმინდა საცემში,
ბრძოლით ბეჭდუდი სიფყვას,
ცყილებით და ჭაბუბით ბუბთის
გაცანა ყულა უჯარბისდბაჩე
უსამაგლესია.

დაარსებულია
1918 წელს.

პარასკევი, 15 მაისი, 2015 წელი.

№88 (7733)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ვებ გვერდი: www.sakresp.ge ფასი 50 თეთრი.

ერთი მახინჯი წიგნის გამო

„ჯაყოს სიზმრები“

ისტორიკოსი არა ვარ და მართლ ზოგადი შეფასება რომ არ გამომივიდეს, მედოევის ეს აშკარად მახინჯი წიგნი, რომელიც ქართველებისა და ოსების საბოლოო გათიშვას ეძღვნება და რომელიც საგანგებოდ ჩამოვატანინე მოსკოვიდან, ისტორიული თვალსაზრისით შესაფასებლად ჩემს მეგობარ ისტორიკოსს, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების გამგეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს ბმ-თაანდელ სონდულაშვილს გადავეცი.

ქვემოთ სწორედ ავთანდილ სონდულაშვილის წერილს გთავაზობთ. თუ ამ მეცნიერულად პირუთვნელმა და რამდენადმე მკაცრმა წერილმა თქვენც გაგიჩინათ სათქმელი, ძვირფასო მკითხველო, როგორც ქართველ, ისე ოს მკითხველს მივმართავ, აუცილებლად მოგწერეთ.

8

ის ომი სწორედაც ჩვენი ომი იყო!

ჩვენი სალოსავეები დაპიპინყოთ და სხვათა კერპები ვინაყოთ?

4

იოსებ ჟორდანიას 120

მაშველი რბოლი ძართველთა სულისთვის...

შეწყვეტილი ბაღადა

5

— 90 —

დიდი სახელი - ოთარ ღუდუგაური

7

აბაშიძე-კარასინის უორკატი უართოვლება

საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის ზურაბ აბაშიძის მორიგი შეხვედრა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინთან პრალაში, სავარაუდოდ, მიმდინარე წლის ივნისში გაიმართება. ამასთან, საუბარია აბაშიძე-კარასინის ფორმატის გაფართოებაზეც.

„შეიძლება პატიარა ცვლილება იყოს ჩვენს ფორმატში. თუ აქამდე თქვენი მონა-მორჩილი და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი მონაწილეობდა ამ შეხვედრებში და რუსეთის მხრიდანაც ასე იყო, ახლა შეიძლება, ამ შეხვედრას დაესწროს თითო ექსპერტი ეკონომიკის სამინისტროდან. რადგან საგაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე ვსაუბრობთ და არის სპეციფიკური თემები, ეს ლოგიკურია, რომ შეხვედრას ესწრებოდეს იმ უწყების წარმომადგენელი, ექსპერტი, რომელიც უფრო ჩახედულია ამ თემებში. სხვათა შორის, ჩვენ ვცდილობთ გავითვალისწინოთ ის წინადადებები, რჩევები, თუნდაც კრიტიკა, რაც გვესმის ხოლმე ჩვენი კოლეგების, თუ ოპონენტებისგან და მაქსიმალურად გამოვიყენოთ ეს ფორმატი ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ“, — განაცხადა ზურაბ აბაშიძემ.

რაც შეეხება რუსეთისა და საქართველოს პირველი პირების შეხვედრას, აბაშიძემ განაცხადა, რომ „განცხადებები პირველი პირების შესაძლო შეხვედრის თაობაზე რამდენჯერმე გაკეთდა მოსკოვშიც, თბილისშიც, რომ ადრე თუ გვიან ასეთი შეხვედრა უნდა შედგეს. ჩვენი პოზიცია ასეთია — თუ ასეთი შეხვედრა გაიმართება, ძალიან კარგად, დეტალურად უნდა იყოს მომზადებული. მთავარია, ამ შეხვედრაზე გადაიდგას ნაბიჯი ჩვენთვის ყველაზე მთავარ თემასთან — აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან მიმართებაში. ასეთია ჩვენი პრინციპული მიდგომა და ეს რუსეთის მხარე იცის, ანუ შეხვედრა უნდა იყოს შედეგზე ორიენტირებული და არა — შეხვედრა შეხვედრისათვის. ამ შეხვედრის მოსამზადებლად არანაირი პრაქტიკული მუშაობა ამჟამად არ მიმდინარეობს“.

6

საერთაშორისო ფორუმი

გონივრული, მიზანდასახული გზა, კონსერვტული პერსპექტივები

2

ავსტრიის პოლიცია თვითმკვლელობის პერსონაჟს მუშაობს, თუმცა...

6

როგორ იკვებებიან ბავშვები სკოლაში?

შესაგონებელ ობიექტებს... წინასწარ აფრთხილებენ, მაგრამ...

6

საერთაშორისო ურთიერთობები

გონივრული, მიზანდასახული გზა, კონკრეტული პერსპექტივები

მეგრის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მმართველთა საბჭოს წევრები და ბიზნეს-ფორუმი, რომელიც ბოლო დღეებში საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, 14 მაისს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში საზეიმოდ გაიხსნა.

საზეიმო ღონისძიებას, რომელსაც ბანკის მმართველი ჰარის გეორგიადესი თავმჯდომარეობდა, ყოველწლიური შეხვედრისა და ბიზნეს-ფორუმის მონაწილე ქვეყნების დელეგაციებისა და საქართველოს მინისტრთა კაბინეტის წევრები, მინიშნული სტუმრები, უცხოური და ადგილობრივი მასშედის წარმომადგენლები დაესწრნენ. შეკრებილთა წინაშე სიტყვით გამოვიდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიაშვილი.

ჩემთვის დიდი პატივია მოგესალმოთ საქართველოს მთავრობის სახელით და მადლობა გადაგიხადოთ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ყოველწლიურ შეხვედრასა და ბიზნეს-ფორუმში მონაწილეობისთვის. ასეთი ფორუმი პირველად ტარდება ჩვენს რეგიონში, რაც კიდევ უფრო საამაყოს და საპასუხისმგებლოს ხდის ასეთი მნიშვნელოვანი ღონისძიების მასპინძლობას და ხაზს უსვამს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან ჩვენი ქვეყნის ხანგრძლივ, მჭიდრო და ნაყოფიერ თანამშრომლობას.



ჩვენ დიდად ვაფასებთ ამ თანამშრომლობას, რომლის შედეგად შარშან პრაქტიკულად გაიორმაგდა ბანკის მიერ საქართველოს ეკონომიკაში განხორციელებული ინვესტიციები, რომლებმაც 200 მილიონ ევროს გადააჭარბა. ჩვენი თანამშრომლობის 22 წლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკაში ბანკის მთლიანმა ინვესტიციებმა 2,6 მილიარდი ევრო შეადგინა. საქართველო არის მონიშნული ქვეყანა გამჭვირვალობისა და დასაბუთების მიმართებით, იგი ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია ინვესტიციების განხორციელებისა და ბიზნესის წარმოებისათვის.

ჩვენმა ქვეყანამ დიდი გზა გავლავა ეკონომიკის, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის პრინციპების მტკიცედ დამკვიდრებისა და განმტკიცების, იმ ძირითადი ღირებულებების დამკვიდრების გზაზე, რომლებიც მთავარია ევროკავშირისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისთვის, - განაცხადა ბატონმა ირაკლი ლარიაშვილმა. პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა საქართველოს მთავრობის უწყვეტ გადამწყვეტილებას ასოციაციების ხელშეწყობის, ღრმა

და ყოველწლიური საგაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების სწრაფი განხორციელების თაობაზე. მისი თქმით, ასოციაციების ხელშეწყობის გაფორმება ევროპული ინტეგრაციისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია. ხელისუფლების მიზანია ბიზნესის ხელშეწყობისა და გაფართოების გზით, ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების ხელშეწყობა, რაც საქართველოს საერთო ევროპულ ოჯახთან დაახლოებს.

ამასთან, მიგვაჩნია, რომ საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა არ უნდა იქნეს გამოყენებული მხოლოდ ტრანზიტისთვის. ქვეყანას აქვს რესურსი, იყოს რეგიონალური ჰაბი. აქ შექმნილია სათანადო გარემო საერთაშორისო კომპანიების განთავსებისა და რეგიონალური საფინანსო ცენტრის ჩამოყალიბებისათვის.

ამას ისიც ემატება, რომ ევროპის ბაზარი გაიხსნა ქართული წარმოების პროდუქციისათვის და მთლიანად, იმ ქვეყნების ჩათვლით, რომლებთანაც საქართველოს გაფორმებული აქვს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებები, 900-მილიონიან ბაზარზე გასვლის შესაძლებლობა გვაქვს.

სიტყვებიდან მიღწევებისა, ჩვენი განწყობები ვართ, გავაგრძელოთ რეფორმები, რათა ვუპასუხოთ ევროკავშირთან ასოციაციების ხელშეწყობის მოთხოვნებს და დავაჩქაროთ ჩვენი ეკონომიკური განვითარება, - აღნიშნა პრემიერმა.

გამოსვლის სხვა საგულისხმო ასპექტებთან ერთად მეტად მნიშვნელოვანი იყო ბატონ ირაკლი ლარიაშვილის ინვესტიციებისა და მიმართვა კონკრეტული შეთავაზებით. მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საქართველო ინვესტიციებს სამართლებრივ უსაფრთხოებას, ხარისხიან, გამჭვირვალე და პროგნოზირებად კანონებს, ჯანსაღ საარბიტრაჟო პროცედურებს, სანდო სასამართლო და საოტორიტარ სისტემებს, სასამართლო განჩინებათა სწრაფ და ეფექტიან აღსრულებას, საჯარო მონაცემთა ხელმისაწვდომობასა და ინფორმაციის ღიაობას, ასევე ხელმისაწვდომ, სწრაფ და გამჭვირვალე საჯარო მომსახურებას სთავაზობს.

გონივრული, მინიმალური და მიზანდასახული რეგულაციების დაწესება კვეყანაში ბიზნესის კეთების და წარმოების ჰაბად აქცია. წინასწარი გათვლებით, პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა საქართველოში შარშან 1,272 მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც 35 პროცენტით მეტია 2013 წლის ანალოგიურ მონაცემებზე და საუკეთესოა 2007 წლის შემდგომ, - აღნიშნა ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის თბილისური შეხვედრის საზეიმო გახსნაზე სიტყვებით გამოვიდნენ ბანკის მმართველი ჰარის გეორგიადესი და პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიაშვილი.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე ფორუმზე მოგვიანებით საქართველოს უმნიშვნელოვანეს თემაზე „მიმდინარე ევროპის სანდო-საპროცესო პარლამენტის შენობაში სტუმარული, რომელიც მოგვიანებით გამოვიდნენ პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიაშვილი და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიაშვილი.

ოთარ ტურაბულიძე

ინფორმაცია

საქართველო 60 მილიონ ევროს მიიღებს

მეგრის და ევროატლანტიკურ სტრუქტურულ ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა დავით ბაქრაძემ და სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისიის დირექტორატის ხელმძღვანელმა ჯერარდ შუმან სიტყვითა და ხელი მოაწერა ორ საფინანსო შეთანხმებას, რომელთა საერთო ბიუჯეტი 60 მილიონ ევროს შეადგენს.

როგორც მთავრობის ადმინისტრაციაში ხელმოწერის შემდეგ მინისტრმა დავით ბაქრაძემ განაცხადა, შეთანხმების თანახმად, ევროკავშირის დახმარებით 2014 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, მართლმსაჯულების სექტორის მხარდაჭერის პროგრამისთვის გათვალისწინებული 50 მილიონ ევრო და ევროკავშირის ინიციატივა „მეტი მტკიცების“ ფარგლებში ადამიანის უფლებების დაცვის პროგრამის მხარდაჭერად 10 მილიონ ევრო. ევროკავშირის აღნიშნული დახმარება მოხმარდება საქართველო-ევროკავშირის ასოციაციის შეთანხმების, ასოციაციის დღის წესრიგის და ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის პრიორიტეტების განხორციელებას. კერძოდ, მართლმსაჯულების სექტორის მხარდაჭერის 50-მილიონიან პროგრამის მიზანს წარმოადგენს მართლმსაჯულების სექტორის ადმინისტრირების სისტემის გაუმჯობესება, კანონის უზენაესობის კონსოლიდაცია, ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების დანერგვა და ევროკავშირის საუკეთესო გამოცდილების გაზიარება, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის მხარდაჭერა და სასამართლო სისტემის შესაძლებლობების გაზრდა.

50-მილიონიანი დაფინანსებიდან თანხის ძირითადი ნაწილი, 30 მილიონ ევრო განხორციელდება ევროკავშირის საბიუჯეტო დახმარების პროგრამის ფარგლებში. საქართველო დაფინანსდება ოთხი წლის განმავლობაში ეტაპობრივად ყოველწლიური ტრანშის სახით მიიღებს, სოლო 20 მილიონი ევრო მოხმარდება პროექტების განხორციელებას აღნიშნულ სფეროებში.

რაც შეეხება ადამიანის უფლებათა დაცვის მხარდაჭერის 10-მილიონიან პროგრამას, ის გამიზნულია საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში ისეთი მიმართულებების მხარდაჭერად, როგორცაა უმცირესობების უფლებების დაცვა, სამართალდამცავი ორგანიზაციების დახმარების უზრუნველყოფა, შრომითი უფლებები, გამოსატყვის თავისუფლება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

მართლმსაჯულების სექტორი

მართლმსაჯულების სექტორში პარლამენტს თანხმობის მისაღებად 2015 წლის 11 მაისს გამოცემული ბრძანება წარუდგინა, რომელიც ცენტრალური ავტორიტეტის რეგულაციებში ევროკავშირის სამხედრო მრჩეველთა მისიამი, სწრაფი რეაგირების ჯგუფში მონაწილეობის მიღების მიზნით, საქართველოს შეიარაღებული ძალების სუბკავიანი ჯგუფის, სოლო მაისის რესპუბლიკაში, ევროკავშირის სანქცირებული მისიამი მონაწილეობის მიღების მიზნით, ერთი სამხედრო მოსამსახურის გაგზავნას ითვალისწინებს. პრემიერ-მინისტრის ბრძანებაზე, პარლამენტის პლენარულ სესიონზე განხილვამდე, მართლმსაჯულების თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში იმსჯელებენ. საკითხზე მომხსენებელი უშიშროების საბჭოს ადგილი ირინა იმერლიშვილია.

ინფორმაცია

პარტიული მნიშვნელობა

პარტიული მნიშვნელობა აგება თუ ძველი არაკონსტრუქციული რუსული ინვესტიციების ხარჯზე მიმდინარეობს. რუსულ საიტებზე უამრავი სააგენტო განცხადებას წააწყდებით, რომლებიც მსურველებს აფხაზეთში სახლების მშენებლობას მისაღებ ფასებში სთავაზობენ. მშენებლობები ძირითადად, სოფელშია და გარშემო მიმდინარეობს, სადაც ზაფხულის სეზონზე დასვენებლები ჩადიან. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთში მიმდინარე მშენებლობებზე დასაქმებული მეთი წილი სწორედ ქართველებზე მოდის. არაკონსტრუქციულად ტერიტორიაზე მცხოვრები თუ ენგურს გაღმა მყოფი ქართველები ოჯახის სარჩენად სწორედ ამ გზას ირჩევენ. მიზეზად კი სარწმუნო ანაზღაურებას ასახელებენ, რასაც თბილისსა თუ სხვა ადგილებში არსებულ მშენებლობებზე ვერ იღებენ.

სონია ხ. უკვე მეხუთე წელია, რაც ქმარ-შვილთან ერთად გალში საცხოვრებლად დაბრუნდა. თუმცა, სამუშაო ადგილები ოკუპირებულ ტერიტორიაზე არ არის, თბილისის მრავალი კი იმდენს არ იძლევა, რომ წლიდან წლამდე თავი შეინახოს. ოჯახის უფროსმა გამოსავალი მშენებლობაზე დასაქმებით იპოვა. „თბილისში საცხოვრებელი არ გექნოდა, ამიტომ გალში წამოვედი. აქ სამუშაო არის, შვილებს ვუვლი, ჩემს ქმარს კი ხანდახან სამუშაო თუ გამოუჩნდება, მიდის, არანაირ საქმეს არ თაკილობს. რამდენჯერმე მშენებლობაზეც სცადა ბედი. მართალია ბევრი არა, მაგრამ ნორმალური ანაზღაურება მიიღო. მთავარია, კარგი ხელსაწყო იყო და სამუშაო და კარგი ანაზღაურება გარანტირებული გაქვს. ჩემმა ქმარმა ხელი არ იცის, ამიტომ შავ მუშად მუშაობს“, - ამბობს გალელი რესპონდენტი.

თემური გალის რაიონის სოფელ ოქუმში უკვე წლებია, რაც ოჯახთან ერთად ცხოვრობს. ბოლო სამი წელია, რაც სოხუმსა და გარეგანში მშენებლობაზე მუშაობს. ამბობს, რომ ანაზღაურებით კმაყოფილია: „ხელობა კარგად ვიცი, კაფელის ხელოსანი ვარ. ძირითადად ახალი შენობების მშენებლობაზე ვმუშაობ. თვეში დაახლოებით 1 000 დოლარამდე ავდივარ. განსაკუთრებით კარგი

აფხაზეთში მიმდინარე მშენებლობებზე დასაქმებული მეთი წილი სწორედ ქართველებზე მოდის. არაკონსტრუქციულად ტერიტორიაზე მცხოვრები თუ ენგურს გაღმა მყოფი ქართველები ოჯახის სარჩენად სწორედ ამ გზას ირჩევენ. მიზეზად კი სარწმუნო ანაზღაურებას ასახელებენ, რასაც თბილისსა თუ სხვა ადგილებში არსებულ მშენებლობებზე ვერ იღებენ.

ანაზღაურება „პრარაბებს“ აქვთ. სოხუმში სტადიონის მშენებლობა იყო შარშან და იქაც ვმუშაობდი. ადგილობრივი ხელისუფლება ცდილობს, იქაურთა გააღამაზოს. თუმცა, გადაბუგული შენობების აღდგენა არც ისე მარტივია. ზოგიერთი სასტუმრო ომს გადააუფრია, იმათი რეკონსტრუქციაც მიდის. ჩვენთვის შეღავათია ისიც, რომ სადაც ვმუშაობთ, ლამესაც იქ ვათვნივთ და ბინის ქირაში ფული არ გვეხარჯება. ბარემ არ მინდა ჩვენი მტრების სასარგებლოდ მუშაობა, მაგრამ სხვა ალტერნატივა არ მაქვს. ბავშვები სკოლაში დადიან, ჩაცმა, ჭამა ხომ უნდათ? სოფელში საქონელი გვეყვება, მინას ვხნავთ და სასმელ-საჭმელი არ გვაკლია, მაგრამ ადამიანს იმის იქით კიდევ ბევრი რამე სჭირდება.“

აფხაზეთში მშენებლობებზე სამუშაოდ მხოლოდ გალდან არ დადიან. მათ შორის ბევრია ისეთი ქართველი, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან იქ

სამუშაოდ გადადიან. კარგა ხანია, რაც აფხაზეთიდან დევნილი მამაკაცების საკმაოდ დიდი ნაწილი სოხუმსა და გარეგანში მშენებლობაზე გამოემუშავეს. თანხებით თბილისსა და თუ სხვა ქალაქებში დარჩენილი ოჯახებს ინახავენ.

„რაც თბილისში მშენებლობები დაიწყო, იქიდან მოყოლებული ვმუშაობ, ჯერ შავ მუშად, ამასობაში ხელობაც შევიტანა. თავიდან კარგი ანაზღაურება იყო, თვეში 1 500-2 000 ლარი გამომიწავდა, მერე რაც კრიზისი წავიდა, ანაზღაურება შემცირდა, ერთი პერიოდი კი საერთოდ შეჩერდა მშენებლობები. დავერჩიე უმუშევარი. ჩემი ძმა გალში ცხოვრობს და მან წამიყვანა მშენებლობაზე. შემდეგ როცა ფხვი მოვიკიდე, ჩემი ნაცნობებიც წავიყვანე. მე პირადად კმაყოფილი ვარ იქ

გამომუშავებული თანხით, ფულს არ ვაღებ. დროულად გვიღიან. მშენებლობაზე ჩვენთან ერთად სომხები და აფხაზეთის მუშაობენ. დასაწყევლად რომ მოვსხვდებით, ერთმანეთში ჩვეულებრივად ვლაპარაკობთ. რა თქმა უნდა, თავიდან იყო შეგუების მომენტი. ახლა კი, როცა დასხვდებით, ვამბობთ, რა გვეკონდა გასაყოფი ქართველებსა და აფხაზებს? თუმცა, თავს იმით ვიმშვიდებ, რომ ოდესღაც ამ ჩვენს აშენებულს ჩვენი თუ არა, ჩვენი შვილები თაობა აუცილებლად ჩაიბარებს“, - ამბობს აფხაზეთიდან დევნილი გოჩა დ.

როგორც ადგილობრივებმა hpn.ge-ს განუცხადეს, დე ფაქტო ხელისუფლება უახლოეს მომავალში გალის რაიონის სოფელ პირველი გალის ჰეხის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას იწყებს. გალელი იმედოვნებენ, რომ იქაც დასაქმდებიან.

სალეო გომოხია

არაპის უკვირს ლიტერატურის ასპარეზზე ნაგვიანევი დებიუტი.

არც განსაკუთრებული აუიოტაჟი და წარმატება, თუნდა ნაგვიანევი დებიუტი რომ მოსდევს.

და ამ მხრივ არც ხალიდ ჰოსეინის წარმატება მოჩანს რაღაც უჩვეულოდ, ორმოცი წლისა რომ შემოაბიჯებდა მწერლობაში და პირველივე რომანს „ფრანით მორბენალი“ აღტაცებული შეეგებებოდა მკითხველი.

ავღანური წარმოშობის მწერალი ამერიკულ ლიტერატურაში უნდა დამკვიდრებულიყო, და მეტი დამკვიდრებაც რაღა გინდა, როდესაც გაყიდულ ეგზემპლართა რაოდენობა ამ ქვეყანასა და მის საზღვრებს მიღმა 21 მილიონს მიაღწევდა.

„ფრანით მორბენალი“ ხელმისაწვდომი შეიქნებოდა ჩვენი მკითხველისთვისაც: ლალი ყუშიტაშვილის მიერ ჩინებულად ამტკიცებული ქართულად და „არტანუჯის“ გრიფით გამოცემული. და რაოდენ მოკრძალებულიც უნდა იყოს გაყიდულ ცალთა რაოდენობა საქართველოში, არამარტო დიდად დააფასებს გემოვნებიანი მკითხველი და უკეთეს წიგნთა თაროზე მიუჩენს ადგილს, არამედ მისი გაცნობის კვალობაზე ბევრი რამ წამოაგონდება საქართველოს უახლესი ისტორიიდანაც და ზოგჯერ ისიც შეიძლება მოეჩვენოს: ავღანეთი არ ვიცით, მაგრამ ეს რომანი ჩვენზე კი ნამდვილად არის დაწერილი.

სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სულ სხვა სიმბოლოა იმოქმედებს ჩვენზე ის პასაჟი, 1978 წლის დეკემბერს ხალიდ ჰოსეინის სამშობლოში რუსული ტანკები რომ გამოჩნდებიან და:

— თან ჩემი ავღანეთის სიკვდილს მოიტანენ.

„ჩემი“, ანუ იმ ნამდვილი ავღანეთის, რომელიც ცდილობს გადაარჩინოს თავისი წეს-ჩვეულებანი და ეროვნული თვითმყოფადობა თავისებურებანი და არ გაითქვიფოს გადამთიელებში, არ იქცეს რუსეთის იმპერიის ნაწილად.

ამიტომაც „სიკვდილი“ ავღანელ პატრიოტთა განცდის სიმწვავესა და უკიდურესობას გამოხატავს, თორემ ამ ქვეყანასაც ზედად ეწერა თავი და ელწია რუსული კაბალისათვის, მათ თავგამებებსა კი ის სიკეთეც მოეტანა, რომ აქაურ მარცხსაც უნდა შეერყია რუსეთის იმპერიის ძლიერება, ჩამოეფხრინა მისი უძლველობის შარავანდი და ხელი შეეწყო იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესისათვის, რომელსაც საბჭოთა რესპუბლიკებისათვის ნანატრი შველა უნდა მოეტანა და საქართველოც ღირსებოდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას.

და რაოდენ სასიხარულოა, რომ ხალიდ ჰოსეინის რომანი მართლაც ამ მხრივ კი არ იპყრობს ჩვენს ყურადღებას, არამედ უწინარესად მაინც მხატვრული შთამბეჭდაობით, იმ ლიტერატურული სრულფასოვნებით, მსოფლიო რომანისტიკას რომ ამდიდრებს; და სწორედ ეს შთამბეჭდაობაა, ძალდაუტანებლად რომ წამოგვიტივტივდება მესხიერებაში თუნდა ჩინგიზ აიტმატოვის რომანი „თეთრი ხომალდი“ — თუ როგორ ებლაუჭება ყირგიზი მწერალი ეროვნულ თავისებურებას და ცდილობს მათ გადარჩენას, ერთგვარ სიმბოლოდ კი ადათ-წესების გადარჩენისა გამოჰყავს არა მსოფლიო პიროვნება, არამედ პატარა ბიჭი, როგორც ხიდი მომავლისაკენ.

არ დიგჯეროთ, რომ ფინალში ეს პატარა ბიჭი იღუპება — იგი ხომ წყალში შთაინთქმის, ეს კი მხატვრულ-მეტაფორულ ენაზე სხვა არაფერია, თუ არა საწინდარი განახლება-აღორძინებისა.

ხალიდ ჰოსეინის რომანშიც პატარა ბიჭმა უნდა იტვირთოს ეს დიდი მისია — ეროვნულ სულიერ ღირსებულზედაც გადარჩენა. ფრანის ფრენას რომ შეიგრძნობს, ამ ფრენის რიტუალურ დანიშნულებასა და მეტაფორულ მნიშვნელობას, იგი თავისი ერის სრულყოფილებიანი წევრი ხდება და ჯერ გაუცნობიერებლად, მაგრამ უკვე უნდა მინვდეს რაღაც იდუმალს, ხვალ და ზეგ მისთვისაც რომ გატყავდებოდა და... მაშ სულიერი უწყვეტობაც გაგრძელდება.

არა, ასე მაინც რას აღტაცა ამერიკელი მკითხველი? მხატვრული ღირსებანი მხატვრულ ღირსებებზე, მაგრამ... გარდა იმისა, რომ ამ რომანზე უამრავი რეცენზია დაინერგებოდა, გადაიღებდნენ ფილმდაც, გაიხსნებოდა კლუბებიც, დამამთავრებელ კლასებში სავალდებულო საკითხავ ლიტერატურადაც გამოცხადდებოდა და ბევრისათვის სულაც სამაგიდო წიგნად იქცეოდა.

— წარსულს ვერ გაექცევი, — იტყვის მთავარი გმირი, რადგანაც ცხოვრება დაუდასტურებს, რომ ტყუილუბრალოდ არ უნდა მოინდომო შენთვის მწარედ გასახსენებელი ამბების მიჩქმალვა თუ შელამაზება, ისევ სჯობს თავისი სახელი დაარქვა, მოინანიო და შეეცადო მის გამოსწორებას შენს არსებაში ახალი პიროვნული თვისებების აღმოჩენითა და გამკვეთებით.

საამისოდ კი ყველაზე მეტად თავგანწირვის მაგალითი გამოგადგება, შენს თვალწინ ჩადენილი.

თურმე ყველაფერი სულაც არ დაკარგულა.

თურმე დარჩენილან ადამიანები ქვეყანაზე — აგერ თუნდა ჰასანი, ძირფესვიანად რომ უნდა შეგირყიოს სული თავისი სიცოცხლითაც და თავისი სიკვდილითაც.

მერე კიდევ: — თუ რამე ვისწავლე ამ ქვეყანაში, ერთი ისაა, რომ არ უნდა დანებდე.

„ეს ქვეყანა“ უკვე ამერიკის შეერთებული შტატებია, რომელმაც... ისევე უნდა შეიყვანოს ჯარები ავღანეთში, როგორც წლების წინათ რუსეთის იმპერიამ, და როგორც ისინი ამართლებდნენ თავიანთ სამხედრო ექსპანსიას ინტერნაციონალური ვალის მოხდის აუცილებლობით, ასევე დაინყებდნენ ამერიკელებიც თავიანთი მოქმედების გამართლებას თალიბანის ძალმომრეობის აღკვეთის გარდუვალობით.

თალიბანი დაუპირისპირდებოდა და კიდევ გამორეკავდა საბჭოთა არმიებს ავღანეთიდან, მაგრამ... აგერ ხალიდ ჰოსეინიც გვიმტკიცებს: ერთი უბედურება მხოლოდ მეორით შეიცვალა, თალიბანი ავღანელთათვის კიდევ უფრო სასტიკი მტერი აღმოჩნდა, ვიდრე საბჭოთა კავშირი გახლდათო.

და აჰა, მოიფინებოდა ქვეყნის ქუჩები განუკითხაობის ათასგვარი ნაყოფით — სესულაური ძალადობით, ობოლი ბავშვებით, მათხოვრებით.

მაგრამ ავღანეთი უნუგეშოდ არ უნდა დარჩენილიყო და... ამერიკა მოსახლეობის დაცვის ლოზუნგით დაძრავდა ჯარებს.

„ფრანით მორბენალი“ მომხრეა ამერიკული სამხედრო ექსპანსიისა.

და ეს იდეური ხაზი სინამდვილეში სხვას რას შეიძლება ნიშნავდეს, თუ არა იმას, მგელს მგლისფერი ძაღლი რომ გირჩევინა ანუ: რუსულ იმპერიალიზმს ამერიკული იმპერიალიზმი.

ვითომ ამხელა განსხვავებაა მათ შორის?

ქართული სიბრძნე, ანდაზით გამოხატული, რომ სულ სხვას შეგვაგონებს და ერთნაირ უბედურებად სახავს, მგელი შეგჭამს თუ მგლისფერი ძაღლი?

ეჰ, ამ სიბრძნესა და ამ ანდაზას ვილა დაგიდევს!..

რა გასაკვირია, ასერიგად რომ აღფრთოვანებულიყვნენ ამერიკელები და ხალიდ ჰოსეინის რომანისათვის პოლიტიკური დანიშნულებაც დაეკისრებინათ, უპირველესად სწორედაც პოლიტიკური და იმ ფილმსაც, იმ კლუბებსაც, იმ სავალდებულო საკითხავად დადგენასაც ის მიზანი მიჩიქებოდა, მათი სამხედრო ექსპანსია გამართლებული რომ გამოჩენილიყო კიდევ ერთხელ, — თანაც, ავღანური მწერლის თვალთახედვით.

სრულიად განსხვავებულ მოვლენად და არა რუსული იმპერიალიზმის აგრესიის ალიკვალად.

თუმც... რუსული პროპაგანდა რა, ნაკლებად „აითერება“ თავის მოქმედებას ავღანეთში, გინდა თუ არა, თქვენს გადასარჩენად და სწორ გზაზე დასაყენებლად შემოვსულვართ, თქვენთვის სიკეთისა და ბედნიერების მოსანიჭებლადო?!

ეს ტენდენცია, ან უკვე ამერიკული აგიტაციისა, ასე მკვეთრად რომ ცნაურდება რომანში?!

ხალიდ ჰოსეინი თალიბანს უპირისპირდება არა სამართლიანობის პოზიციიდან, არამედ — ამერიკული თვალთახედვით, რაც ლაქად აჩნდება წიგნის ჰუმანისტურ პათოსს, ზღუდავს მის თვალსაწიერს.

მაგრამ ისეთი მკაფიო და ხელშეხსება ავღანური ტრადიციების გადასარჩენად მწერლის თავგამოდება, საბოლოოდ მაინც ეს მრწამსი გადაძლევეს და „ფრანით მორბენალი“ თავს აღწევს პოლიტიკური კონსენსუსის მარწმუნებს და ინარჩუნებს თავის მხატვრულ ძალმოსილებებს.

სულ არ ყოფილიყო ის ტენდენცია, სჯობდა, ცხადია. მაშინ... აღარც უამრავი რეცენზია დაინერგებოდა.

აღარც კლუბები გაიხსნებოდა.


აღარც დამამთავრებელი კლასების პროგრამაში შეიტანდნენ სავალდებულო საკითხავად.

და ვეღარც სამაგიდო წიგნის ავტორიტეტს მოიპოვებდა.

ეგაა, ჩვენ თუ დავუფასებდით.

და დროდადრო თუ გადმოვიღებდი, თავს რომ მოგვანატრებდა და გადაფურცვლა კიდევ ერთხელ მოგვინდებოდა, კითხვისას ნება უნებლიეთ ჩვენს დრამატულ სინამდვილეში გადავეშვებოდით, რადგანაც თუ რაიმეს, წარსულსაც ვერ გაექცევი, მითუმეტეს — წარსულს, რომელიც ჯერ არც დასრულდებულა, და ღმერთმა ინებოს, ისე შეიკრას მისი კომპოზიციური ქარგა, ჩვენ როგორც გვეოცნებება — მგლისძისა და მგლისფერი ძაღლის რკალს გაირიდებული და ნამდვილი სახელმწიფოებრივ გზაზე დამდგარი.

ავღანთა ხვედრის-ჩვენს გაუბრუნებლად!..



კისრებინათ, უპირველესად სწორედაც პოლიტიკური და იმ ფილმსაც, იმ კლუბებსაც, იმ სავალდებულო საკითხავად დადგენასაც ის მიზანი მიჩიქებოდა, მათი სამხედრო ექსპანსია გამართლებული რომ გამოჩენილიყო კიდევ ერთხელ, — თანაც, ავღანური მწერლის თვალთახედვით.

სრულიად განსხვავებულ მოვლენად და არა რუსული იმპერიალიზმის აგრესიის ალიკვალად.

თუმც... რუსული პროპაგანდა რა, ნაკლებად „აითერება“ თავის მოქმედებას ავღანეთში, გინდა თუ არა, თქვენს გადასარჩენად და სწორ გზაზე დასაყენებლად შემოვსულვართ, თქვენთვის სიკეთისა და ბედნიერების მოსანიჭებლადო?!

ეს ტენდენცია, ან უკვე ამერიკული აგიტაციისა, ასე მკვეთრად რომ ცნაურდება რომანში?!

ხალიდ ჰოსეინი თალიბანს უპირისპირდება არა სამართლიანობის პოზიციიდან, არამედ — ამერიკული თვალთახედვით, რაც ლაქად აჩნდება წიგნის ჰუმანისტურ პათოსს, ზღუდავს მის თვალსაწიერს.

მაგრამ ისეთი მკაფიო და ხელშეხსება ავღანური ტრადიციების გადასარჩენად მწერლის თავგამოდება, საბოლოოდ მაინც ეს მრწამსი გადაძლევეს და „ფრანით მორბენალი“ თავს აღწევს პოლიტიკური კონსენსუსის მარწმუნებს და ინარჩუნებს თავის მხატვრულ ძალმოსილებებს.

სულ არ ყოფილიყო ის ტენდენცია, სჯობდა, ცხადია. მაშინ... აღარც უამრავი რეცენზია დაინერგებოდა.

აღარც კლუბები გაიხსნებოდა.

აღარც დამამთავრებელი კლასების პროგრამაში შეიტანდნენ სავალდებულო საკითხავად.

და ვეღარც სამაგიდო წიგნის ავტორიტეტს მოიპოვებდა.

ეგაა, ჩვენ თუ დავუფასებდით.

და დროდადრო თუ გადმოვიღებდი, თავს რომ მოგვანატრებდა და გადაფურცვლა კიდევ ერთხელ მოგვინდებოდა, კითხვისას ნება უნებლიეთ ჩვენს დრამატულ სინამდვილეში გადავეშვებოდით, რადგანაც თუ რაიმეს, წარსულსაც ვერ გაექცევი, მითუმეტეს — წარსულს, რომელიც ჯერ არც დასრულდებულა, და ღმერთმა ინებოს, ისე შეიკრას მისი კომპოზიციური ქარგა, ჩვენ როგორც გვეოცნებება — მგლისძისა და მგლისფერი ძაღლის რკალს გაირიდებული და ნამდვილი სახელმწიფოებრივ გზაზე დამდგარი.



რუსტომ რიშიძე

ალიან-ჩალიანი

საკმარისია! ახლა ჩვენ

გადავდივართ შეტევაზე!

„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი ირმა ინაშვილი „აფსუნწლ“-გვერდზე წერს, რომ მომავალი კვირიდან საქართველოს ყველა დიდ ქალაქში იწყებენ მასშტაბურ გამოკითხვას, ენდობა თუ არა ხალხს NDI-ის და IRI-ის.

„SOSI ვინცებთ მასშტაბურ გამოკითხვას, ენდობა თუ არა ხალხს NDI-ის და IRI-ის. მომავალი კვირიდან საქართველოს ყველა დიდ ქალაქში“

შედეგებს საჯაროდ გავაცნობთ ქართველ საზოგადოებასაც და თავად NDI-IRI-საც! ასევე, დავამზადებთ და მასობრივად გავავრცელებთ საინფორმაციო კლიპებს, რომლებიც ცხადყოფს, რა უნაშუაოდ გვატყუებენ ხსენებული ორგანიზაციები. საკმარისია ახლა ჩვენ გადავდევართ შეტევაზე“, — წერს ინაშვილი.

მოდო და, ამის მერე ქართველი

ხალხი დააჯერა, რომ ეპროკა - ჩვენი „ნათელი მომავალი“!

ბსმ ემბაურება ჟურნალისტი გიორგი გიგაური 17 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებას. ამის შესახებ გიგაური საკუთარ საკუთარ „facebook“-გვერდზე წერს.

„ვერო(ფო)ბა ბოდიში არასაბარლამენტო ლექსიკისთვის, მაგრამ სწორედ ეს სიტყვა მომადგა ენაზე, როდესაც გავიგე, რომ ევროპის სასამართლომ დააკმაყოფილა აქაური ლგბტ სექტის სარჩელი, საქართველოს მთავრობა გამტყუნა და 33 500-ევროიანი ჯარიმაც დააკისრა 2013 წლის 17 მაისის მოვლენების გამო!“

და თან, ეს 17 მაისამდე — ანუ ცისფერ-ვარდისფერთა საერთაშორისო დღესასწაულამდე — რამდენიმე დღით ადრე გააკეთა, ლგბტ-ებისადმი ღია სოლიდარობის ნიშნად!

მოდო და, ამის მერე ქართველი ხალხი დააჯერე, რომ კაცების გამაუპატიურებელი სააკაშვილის რეჟიმისა და მამათმავლობის თანამგრძობი და დამცველი ევროპა — ჩვენი „ნათელი მომავალი“ — წერს ივანე გიგაური. 17 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით, სტრასბურგის სასამართლომ საქართველოს 33 500 ევრო დააკისრა.

ალიან-ჩალიანი

ნეხციოვანი თქაზები

- ე.წ. ჟურნალისტებს იაფად ვთავაზობ სათაურებს: — მონგოლეთში ქართულ ოჯახებს ხარკი დააკისრეს!
- ირანელებმა 400 000 ქართველი გადაასახლეს!
- სამშობლო განსაცდელშია განაცხადა სოსომ.
- პრეზიდენტი სახლში წავიდა!

ოლონდ თარიღები სადღაც ბოლოში, პეტიტით (წვრილი შრიფტით) მიუთითეთ.

● სათუნა ლაგაზიძეს ორი ისეთი რაღაც წამოცდა, რომ ჯულიეტოვანა ნორმალური ჟურნალისტი რომ ყოფილიყო, უნდა გამოკიდებოდა:

1. ისეთი ობობიციური პარტიები, რომლებსაც დესტაბილიზაციის გამოწვევა შეუძლიათ, აუცილებლად უნდა შევიდნენ პარლამენტში!
2. ამ პოლიტიკურ ძალებს გააჩნიათ საკმაოდ დიდი ფინანსური რესურსი (მერე გადააკეთა), დასავლური მხარდაჭერა და ადამიანური რესურსი.

ის, რაც უნდა ეკითხა ჯულიეტოვანას:

1. რომელ პარტიას შეუძლია დესტაბილიზაციის გამოწვევა. გახსოვთ დააკონკრეტოთ! (პასუხის შემთხვევაში უნდა ეთქვა, რომ ნებისმიერი პარტია, რომელიც დესტაბილიზაციის გამოწვევას შეეცდება, უნდა წავიდეს ციხეში, და არა პარლამენტში!

2. რა ფინანსური, ან დასავლური, ან ადამიანური რესურსი გაქვთ მხედველობაში?

მაგრამ ჯულიეტოვანა, მაინც ჯულიეტოვანა. ლაგაზიძეს კი ნაცვალს დაარსებული საზოგადოება „ივერიის“ მანდატი უწავს მკერდს.

- NDI — არსებობს, თუ ეგვეც NATO-სავით პონტია?
- ჯულიეტოვანას პირდაპირ ეთერში დარეკა 8600-მა მოქალაქემ.

NDI-ს გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 4300-მა. იმ გამოკითხვებშია ორ-ორჯერ დარეკეს?

ზუსტი მენცნიერება მათგანატიკა

● როგორც კი სერგი კაბანაძე „რუსთავი 2“-ის პირდაპირ ეთერში, ჯულიეტოვანას გადაეცემა საქართველოს მოსახლეობის 31%-ის ნატოს საწინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, ვინც თავს არიდებს საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას და ანტისაზოგადოებრივ პარანორმულ ცხოვრებას წესს მისდევს“. — ახლაც რომ მოქმედებს ეს ბრძანებულება, არც პრეზიდენტი გვეყოლება, არც პარლამენტი და აღარც არასამთავრობო ორგანიზაციები.

ვაშა!!!

ამოკრება გია გაბრიძიძე

პი, ნეოლიბერალური იდეოლოგიის, პოლიტიკის მთავარი არსი, რასაც აგერ უკვე 10-12 წელიწადია, მიზნობრივად ასორციელებენ საქართველოში ჩვენი „სტრატეგიული მოკავშირეები“, ჯერ აშკარად საკუთარი სატრამპის, მიხეილ სააკაშვილის ხელით, ხოლო დღეს უკვე მეოცნებე ხელისუფლების მდუმარე თანხმობის ფონზე!

თუ გადავხედავთ ჩვენს უახლოეს წარსულს, უეჭველად შეიძლება, იმის თქმა, რომ ე.წ. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყო ამ მანქანით მანქანის სულიერების წგრევა, ეროვნული ფასეულობების შეურაცხყოფა, ისტორიული მემკვიდრეების წაშლა და სხვა მრავალი, რაც ბოკერების, რამიშვილების, ერთი სიტყვით, თავისუფლების ინსტიტუტში აღზრდილი ბიძაშვილები იშვებოდნენ და ხორციელდებოდა ე.წ. „ახალი ქართველის“ შექმნის ამოცანის ყველა მიმართულებით!

გავისხენოთ, თუ როგორ შეანგრის 2004 წელს გლდანის ეკლესიის კარი სატვირთო მანქანით და როგორ დაარბიეს ეკლესიის მრევლი; უკაცრავად წმინდა მეფესთან და როგორ გააპანდურეს დავით აღმაშენებელი თბილისის ცენტრიდან, მის ადგილზე კი ველოსიპედის „ძეგლი“ დაგვიდგეს და ა.შ. მსგავსი დიდი თუ შედარებით მცირე ბოროტების ჩამოთვლა უსასრულოდ შეიძლება, მაგრამ ზემოთ ყველა მიმართულებით – მეთქი და ახლა 9 მაისის, დიდ სამამულო ომში გამარჯვების 70 წლის-თავისათვის, ნაცბანდის ბოროტების ეს მიმართულება გავისხენოთ. მიმართულება, რომელმაც ცინიზმის, თავხედობის აპოგეას სწორედ ამ დღეებში მიაღწია...

2009 წელი...
ანუ ჟამი, როდესაც აშშ-ს ფართოდ დახუჭულ თვალთა წინ, სააკაშვილის სისხლიანმა რეჟიმმა ძლიერებისა და სისასტიკის ზენიტს უწია!

სწორედ მაშინ განდაღურად ააფეთქეს მერაბ ბერძენიშვილის დიდებული ქმნილება – ქუთაისის დიდების მემორიალი, რასაც, როგორც ზეციური მინიშნება, უდანაშაულო დედა-შვილის სიცოცხლე ემსგვერდლა.

2010 წელი...
წელიწადი, როდესაც მთელი პროგრესული კაცობრიობა მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმის დამარცხებას, ხოლო რუსეთი მთელ პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან ერთად დიდ სამამულო ომში გამარჯვების 65 წლისთავს უეგმიზობა, იმა წლის 24 ივნისს, ანუ, როდესაც ასევე 65 წლის წინათ წითელ მოედანზე გამარჯვების სამხედრო აღლუმი გაიმართა, ნაცბანდის ტურებმა, როგორც „შაკლების“ წესია, ღამით გორის ცენტრიდან გააქრეს სწორედ ფაშიზმის დამარცხებული იოსებ სტალინის მონუმენტი!

ანუ, იმ დღის სწორს, როდესაც მაგზოლეუმის ტრიბუნაზე მდგომი გენიალური სტალინი, დამასხურებული დიდების ზენიტში იმყოფებოდა..

ის ომი ჩვენი ომი არ იყო!
ანდა ის ომი დიდი სამამულო კი არა, როგორც აქამდე „გვაცხუებდნენ“ ქართველებს, უბრალოდ მეორე მსოფლიო ომი ყოფილა.

აი, მთავარი მიზანი ყოველივე ზემოთ თქმული ქმედებებისა, ანუ ტვირების გამორეცხვა და, პირველ რიგში, ახალგაზრდებისა, თორემ ჩვენ, ძველგაზრდა „რეტროგრადებს“ აბა რა გვეშველება?..

სწორედ გორში სტალინის ძეგლის დემონტაჟიდან მომდევნო 2011 წელს, საქართველოს ე. წ. დამოუკიდებლობის შემდგომ ისტორიაში პირველად იყო მცდელობა, რომ ფაშიზმზე გამარჯვების დღე არა 9 მაისს გვეხეობა, როგორც აქამდე ვხეობდით, არამედ 9 მაისს, როგორც ამა დანარჩენი „ცივილიზებული მსოფლიო“ აღნიშნავს...

ოდითგან დადგენილი თარიღის „მოულოდნელად“ უარყოფა საზოგადოებას ასე აგვიხსნეს:

თორემ, ნუ იტყვივით და, როცა 1945 წლის 8 მაისს გერმანიის მიერ ხელმოწერილი უსიტყვო კაპიტულაციის აქტმა მოსკოვს ჩამოაღწია, მაშინ მოსკოვში უკვე 9 მაისის გამთენიისა ყოფილა და ამიტომ დადგინდა საბჭოეთში, დანარჩენი მსოფლიოსგან განსხვავებით, 9 მაისი მეორე მსოფლიო ომის დამთავრების დღედ, ანუ უნდათ, დროის სხვადასხვა სარტყელით გემონეულ ტექნიკურ ლაფსუსად შემოგვახალონ ეს აშკარა მკრეხელობა!

საბჭოთა კავშირში არასოდეს უხეიმათ ე. წ. მეორე მსოფლიო ომის დასრულება, რადგანაც, რაც „განათლებული და დემოკრატიული“ დასავლეთისთვის ბანალურად, უჯიგროდ უღერადი „მეორე მსოფლიო ომი“, ჩვენთვის, „გაუნათლებელი და ბნელი“ პოსტსაბჭოელებისთვის, რომლებმაც სტალინის გენიალური სარდლობით ლომის წილი დავიდეთ ფაშიზმის განადგურებაში, ის ომი იყო, არის და იქნება დიდი სამამულო ომი!

სწორედ დიდ სამამულო ომში გამარჯვებას ვხეიობდით 9 მაისს და მომავალშიც ასევე ვიხეიობთ!

ახლა ისიც ვნახეთ თუ მოკავშირეთაგან ვინ რა „ფასი გადახადა“ ამ გამარჯვებისთვის:

აშშ-მა დაახლოებით 250 ათასი ჯარისკაცი, ხოლო ინგლისმა ამაზე ოდნავ მეტი. სსრკ-მა კი, უკანასკნელი დაზუსტებული მონაცემებით, 30 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე მიიტანა გამარჯვების სამსხვერპლზე. თუნდაც ამ აშკარად „სასაცილო სწავობის“ გამო, არა თუ ეკუთვნოდა საბჭოეთს გამარჯვების თარიღის ცალკე დანახება-აღნიშვნა, არამედ მოვალეც კი იყო გენერალისიმუსი, ამითაც გაესვა ხაზი ფაშიზმის დამარცხებაში სსრკ გადაამყვებელი როლისთვის და განსაკუთრებული პატივი მიეგო დაღუპულთა სსოვნისთვის!

საერთოდ რაზეა ლაპარაკი, როდესაც პატარა საქართველომაც კი რაოდენობრივად ბევრად მეტი, უკანასკნელი მონაცემებით, 400 ათასამდე ვაჟიკი შესწირა ფაშიზმზე გამარჯვებას, მეტი, ვიდრე აშშ-მა და ინგლისმა. საბჭოეთის მოკავშირეები, რომლებმაც მეორე ფრონტის გახსნა მოლოდინ მაშინ იკადრეს, როდესაც გერმანიის დამარცხება მათ გარეშეც გარდაუვლი გახდა, იძულებულნი გახდნენ, მეორე ფრონტი გახსნათ, რათა ომის შემდეგ ევროპაში „ტორტის გაყოფის“ დროს მსუყე ნაჭერი მათაც დაეთრიათ...

აშშ, მიუხედავად ამ ყველაფრისა, დღესაც ჯიუტად ცდილობს,



ჩვენი სალოსავები დაპიპინყოთ და სხვათა კერავები ვინაყოთ?

რომ ფაშიზმზე გამარჯვების ლომის წილი ისტორიის გაყალბებით მიიწეროს – პოლიეუდის გადაღებული ფილმებიც იმას უმტკიცებენ მსოფლიოს, რომ თითქოს პიტლერული გერმანია მხოლოდ „რიგით რაიანებს“ დაემარცხებინათ და წითელი არმიის ლაშქარი არაფერ შუაში იყო. არადა, იმ ომის დროს ნიუ-იორკის ბარ-რესტორნებში ის უბერავდნენ ამერიკელი ჯაშუშები, რომ ომისა არაფერი ეტყობოდათ.

ის ყმადაღებული „ლენდლიზიც“, რითაც სსრკ-ს ესმარებოდნენ, საბოლოო ჯამში საკუთარი ეკონომიკის დახმარებაც იყო, რადგანაც კუს კვერცხის ფხენილიდან დაწყებული და სამხედრო ტექნიკით დამთავრებული, სსრკ ყველაფრის საფასურს ოქროთი ისდიდა!

სწორედ ამ ოქროს წყალობით დაიწყო ე. წ. დიდი დებრესიის შემდეგ პირველად აშშ ეკონომიკის აღმასვლა და ომის შემდგომ ნანგრევებდაცქვეული ევროპის „დახმარებით“ ხომ საერთოდ, როგორც იტყვიან, შავი დედამიწით გაკეთდნენ, მდიდრულადდნენ და მდიდრდებოდნენ.

იშვიათი გამონაკლისის გარდა (საუთუმპეტონი), ნაკლებად ეფექტურ ავიადაბომბვებს თუ არ ჩავთვლით, მაინცდამაინც მიძიმედ არც ბრიტანეთი დაზარალებულა. მიუხედავად ამისა, 1945 წლის გაზაფხულზე ბრიტანეთის სამეფო ავიაციამ მიხინარე ლაიფციგი მინასთან გაასწორა, რასაც ათიათასობით მშვიდობიანი მოქალაქის, მათ შორის, ქალებისა და ბავშვების სიცოცხლე შეენირა, ანუ მაშინ, როდესაც მესამე რეიხი არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა და, აქედან გამომდინარე, ასეთი ბარბაროსობის არანაირი სტრატეგიულ-ტაქტიკური აუცილებლობა არ იყო. ყველაფერი შედარებითია და:

პარიზის, კოპენჰაგენის, ოსლოს, ამსტერდამის და ა.შ. ოკუპაციასაც ოკუპაცია უნდა ერქვას, სადაც ბევრი არაფერი დაუნგრევიდა პიტლერელებს და სსრკ-ის გადაბუგულ სოფელ-ქალაქებისასაც?

ამას დაუშვამოთ უკვე პრაქტიკულად დამთავრებული მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკელების მიერ ჩადენილი ხიროსიმა-ნაგასაკის ატომური გენოციდი და მერე ილაპარაკონ შინაურმა თუ გარეულმა „ჰუმანისტმა“ ისტორიის გამყალბებლებმა სტალინის სისხლისმსმელობაზე. რომ არა ხიროსიმა-ნაგასაკი, რაც, უწინარესად სტალინის, „მადის მოთოკისთვის“ ჩაიდინეს „ჰუმანისტებმა“, სტალინს გადაწყვეტილი ჰქონდა, თურქეთისთვის საქართველოსთვის წართმეული ტაო-კლარჯეთი „აეხია“, რაზედაც დაუფარავად განაცხადა გენერალისიმუსმა 1945 წლის იალტის კონფერენციაზე...

დასავლელი „მშვიდობის მტრედები“ დღეს აქტიურად მუშაობენ, რათა სტალინი და პიტლერი ერთნაირ ბოროტებად აღიარებინონ მსოფლიოს. სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ დიდი სამამულო ომის თემების განქიქება არც დღეს და, მით უმეტეს, არც მიშნაცებს დაუწყოიათ.

ის ომი ჩვენი ომი არ იყო; რისთვის იბრძოდნენ ჩვენი მამა-პაპები კომუნისტების ომში; გაემარჯვა პიტლერს, ახლა ბავარიულ ლუდს დავეფედით; რატომ დაიღუპა ამდენი ქართველი, როდესაც ჩვენს მიწაზე გერმანელებს ფენი არ დაუდგამთ და ა.შ. – მსგავსი სერიოზულ-არასერიოზული სისულელებები გასული საუკუნის 80-იანი წლების მინწურულს აბოზოქრებული ეროვნული მოძრაობის დღეს უკვე ოდით ბური ზოგიერთი ლიდერის გაცხელებულ თავში იშვა და მისივე ბაგებებიდან სმიანდებოდა.

მიშნაცებმა, უბრალოდ, გააგრძელეს ეს ხაზი და ლაპარაკიდან ზემოთ ნახსენებ საქმეებზე გადავიდნენ, აქედან გამომდინარე, გასაკვირია, რომ 9 მაისის 8 მაისით შეცვლაც მოინდომეს ამ ხლისტებმა?

ნათქვამია, „წყალნი წავლენ და ნამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო“... ჰოდა, ეს ვარდისფერი ჭირიც მოვიცილეთ 2012 წლის 1 ოქტომბერს, მაგრამ, სამწუხაროდ, ბიძინა ივანიშვილის მიერ დასწმული ხელისუფლებაც წინამორბედის რიტორიკას განაგრძობს – ქალბატონმა მიაი ფანჯიკიემ, საგარეო საქმეთა მინისტრმა, ჩემთვის, სტალინი და პიტლერი, ერთნაირი ბოროტებააო, ბრძანა. აღარაფერს ვიტყვი რესპუბლიკელი ხლისტების ბოდეებზე ამ მიმართებით და, საერთოდაც, დღევანდელი ხელისუფლება იმ ომს ხაზგასმით მხოლოდ მეორე მსოფლიო ომს უწოდებს და არასოდეს – სამამულოს, ემანდ, დასავლელი პატრონებს არ ვწინობთ. იმას კი არადა დაგიდევინ, რომ ამით, მოსკოვიდან ვიდრე ბერლინამდე განფენილ საფლავებში აფურთხებენ საკუთარ მამა-პაპას...

„ელირსებაო ლუხუშსა ლაშარის გორზე შედგომა“..

ამ, უკვე ნილაბადილ მეოცნებეებს, ანუ ნაცებ-ქოცების სიმბიოზსაც მოვიშორებთ!

ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გვეღიროსო ეროვნული ხელისუფლება?

და მაშინ სამართალს ყველა მიმართულებით (მათ შორის, აფეთქებულ-შეგინებული თუ „მოსიარული“ ძეგლებისაც) დაამყარებს ქართველი ერი!

მანამდე კი კიდევ ერთხელ გიამბობთ ერთ სულისშემძვრელ საგას დიდი სამამულო ომის თემაზე, საიდანაც კარგად ჩანს, თუ რატომ იყო ის ომი ჩვენთვის დიდი სამამულო. კიდევ ერთხელ, რადგან ამაზე შარშან 9 მაისსაც ვწერდი. ამბავზე, რაც ჩემს ოჯახს ეხება და რომლის სიუჟეტიც კინოსცენარადაც გამოდგებოდა... **„და თუ სტალინი მიკითხოს, უთხარ, არ ვიყავა ჯაბანი“**

არ არსებობს ოჯახი საქართველოში, რომელსაც იმ უსასტიკეს ომში ახლობელი არ დაეკარგოს და ამ მხრივ არც ჩემი ოჯახია გამონაკლისი...

1934 წელს მამაჩემის ბიძა და, შესაბამისად, ჩემი პაპა, თბილისის უნივერსიტეტში სრულიად მშვიდობიან, გეოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა. ამ დროს დაწყებული პირადად სტალინის ინიციატივით კავშირის მასშტაბით „ვისოკი, კრასივი“ ბიჭების „დავერობეკება“ მაშინ ჯერ კიდევ ახლად ფეხდამულ საბჭოთა ავიაციაში.

ჰოდა, ერთ-ერთი ასეთი „ვისოკი, კრასივი“ 22 წლის ჭაბუკი გივი ჯორჯოშვილიც აღმოჩნდა. მამაჩემის ბიძაც იმ არმიას შეუერთდა, რომელსაც შემდეგ „სტალინურ შევარდნებს“ ეძახდნენ...

ქიზიყში დაბადებულ შევარდენს, თავისი „ჯარისკაცის მამა“ ჰყავდა – უნივერსიტეტის უბრალო კარისკაცი, რომელსაც მთელი მამონდელი უნივერსიტეტი და მთელი თბილისელი სიუვარულით ძია მოსეს ეძახდა, ჩემი დიდაპაპა, ვისაც მხოლოდ იმ-ტომ ვახსენებ, რომ ამ სევედიანი ამბის ერთ-ერთი მთავარი მონაწილეა.

გივიმ ავიაბოლკი მოსკოვთან ახლოს კლიაზმაში იყო დისლოცირებული, საიდანაც არაერთხელ გააყოლია მისი ავიაგამანადგურებლების ესადრილია მიმე მომდამშენებს დამცავ ესკორტად გერმანიის ქალაქების (ბერლინის ჩათვლით) დამეული დაბომბვებისას. დაბრუნებისას გივის წესად ჰქონია, უფლებად გადაჩენა იქვე, კლიაზმაში მცხოვრები ულაზაზესი წინასწარგანა სახლის თავზე უმაღლესი პილოტაჟის ტრიუკებით ეცნობებინა ფრონტული სიყვარულისთვის.

ერთ-ერთი ასეთი „ტრიუკაჟობისას“ შემთხვევით მისი გამანადგურებლის ფრთა მაღალ ალვის ხეს წამოსდებია, მანქანა მსუბუქად დაზიანებულა, გივი კი „მძიმედ“ დაუსჯიათ – ხელფასიდან დაუქვითეს თვითმფრინავის რემონტის საფასური.

1944 წლის თებერვალში საკუთარი თვითმფრინავით ჩამოფრენილა 31-ე ქარხანაში და, სანამ მის მანქანას გაარემონტებდნენ, რამდენიმე დღით ქიზიყი მოუვლია, მოუნახულებია დიდი ხნის უნახავი ნათესავები თუ მეგობრები.

ძია მოსემ საკუთარ შვილს, თბილისის დაბრუნებულ გივის, დიდი ხნის ქოჭმანის შემდეგ მაინც შეჰხედა და გლესურად, ქიზიყურად უთხრა – შვილო, ე ომი საცაა გათავდება, მაგათ უწენოდაც მაუგრუნენ კისერსა, აქ ერთი ცალხელა კაცია, ფულ თუ მისცემ, „პერედავოი აკოპიდან“ ამიყვავა ხალხი. შენ აქა ხარ, მოდი ცოტა ფულ მივეცემ და იგეთ საბუთ გაგიკეთებს რომა...

მაგას რას ამბობ მამი (ალარ დაამთავრებინა თურმე გივიმ მამას სათქმელი), შენს გაზრდილს გე როგორ გამოხედვ. მე იქ ჩემი ამხანაგები მელოდებია, პარტისა, სტალინს აქვს ჩემი იმედო და ის ორიოდ დღე, რაც მის გამგზავრებამდე იყო დარჩენილი, შვილს მამისთვის ხმა აღარ გაუცია და ასე, როგორც ქიზიყში იტყვიან, მამასთან, „უძრახათ“, წასულა ფრონტზე.

1944 წლის 4 ნოემბერს გივი ჯორჯოშვილს ვილაც გენერალ უნდა წაეყვანა ფრონტის ხაზზე. მისი თვითმფრინავი კი დივერსიის გამო აფრენისთანავე აფეთქებულა და ახლა ქიზიყეებს „ლიმილის ბიჭის“ ნეშტი კლიაზმის სასაფლაოზე განისვენებს.

მისგან სახსოვრად ძია მოსეს სამხედრო ქამარი, ხოლო მამაჩემს ლამაზი ბუბუთი დარჩა და კიდევ დევეშები, რომელთაც გივის დაღუპვის შემდეგაც დიდი ხნის განმავლობაში აგზავნიდა გივის ფრონტული ცოლი, ულაზაზესი წინასწარგანა გივის ჩვეული „პოჩერკით“ – თიგ, ზღოროგ, ცელუიუ, გივი“..

9 მაისს, დიდ სამამულო ომში გამარჯვების მორიგ წლისთავს კიდევ ერთხელ გილოცავთ, უწინარესად, ომის ვეტერანებო, და შემდეგ სხვებსაც, ვისაც გვევრათ, რომ ის ომი დიდაც ჩვენი, დიდი სამამულო ომი იყო!..

გილოცავთ და ბოდიშს გისდიოთ, რომ ვერ დაგიცვათ თავისუფალი ზონის მანქურთების შეურაცხყოფებისგან, რაც სწორედ 9 მაისს გაბედეს გამარჯვების პარკში უცნობი ჯარისკაცის საფლავთან... დავით მხიპია

გაზველი რბოლი ქართველთა სულისთვის...

ღმერთო ჩემო...თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა იმ დღიდან, როდესაც მე, სრულიად ახალგაზრდამ, სამედიცინო ინსტიტუტში, ბოლო სახელმწიფო გამოცდის ჩაბარებიდან ერთი კვირის შემდეგ, მივატოვე მშობლიური ოჯახი და მართლაც გავემგზავრე შორეულ მისკოვში განათლების გასაგრძელებლად, რაც სრულიად მარტოს, ყოველგვარი დახმარების გარეშე უნდა მომეხერხებინა. ამ მდგომარეობაში მამხრევებდა მხოლოდ ის ფაქტი, რომ მე გაგზავნილი ვიყავი პროფესორ იოსებ ჟორდანიას მიერ დაარსებული ინსტიტუტიდან, რომელსაც მთელი მსოფლიო იცნობდა.

ისე გამოვიდა, რომ ჩემი შემოქმედებითი ზრდა 20 წელი გაგრძელდა, მაგრამ მე განველე სახელოვანი, იმ დროისათვის მსოფლიოში საუკეთესო განათლების სკოლა, რაშიც მუდმივად მინათებდა გზას იოსებ ჟორდანიას პიროვნება.

ჩემთვის ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ საქართველოში დაებრუნდებოდი სწორედ იმ ინსტიტუტის დირექტორად, რომელიც დააარსა ი. ჟორდანიამ, მაგრამ ვერ მოასწრო დასრულებული საქმის ბოლომდე მიყვანა, ვინაიდან მოულოდნელად დაიღუპა ავიაკატასტროფაში. გარდაცვალების შემდეგ მისი სახელობის ინსტიტუტს ხელმძღვანელობდნენ ბრწყინვალე პიროვნებები პროფ. ჯ. ციციშვილი და თ. მესხი, რომელთა სამეცნიერო და პრაქტიკული გამოცდილება განსხვავდებოდა ინსტიტუტის პროფილისაგან. ისე გამოვიდა, რომ რეპროდუქტოლოგიის ერთადერთი სპეციალისტი ქვეყანაში აღმოჩნდი მხოლოდ მე, რამაც მიაღებინა ჩვენი სახელმწიფოს იმდროინდელ ხელმძღვანელს ბ-ნ ე. შევარდნაძეს ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტის დირექტორად ჩემი დანიშნვის შესახებ გადაწყვეტილება. ამ საქმეს მივუძღვენი ჩემი ცხოვრების თითქმის 30 წელი და გადაუჭარბებლად შეიძლება განვაცხადო, რომ ბოლომდე მივიყვანე ი. ჟორდანიას მიერ დასახული იდეოლოგია ქვეყანაში. ახლაც კი, როდესაც უკვე სამი წელია, რაც მაიძულეს დამეტოვებინა ი. ჟორდანიას სახ. ინსტიტუტი, ჩემს მიერ დაარსებული ახალი „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი“ აგრძელებს ი. ჟორდანიას ნაანდერძების განხორციელებას, რაც მაძლევს საფუძველს იმის სრული განცდისა, რომ ი. ჟორდანიას სახელობის რეპროდუქტოლოგია საქართველოში ჩემი შექმნილია.

მაგრამ დავუბრუნდეთ პროფ. ი. ჟორდანიას პიროვნებას...

1962 წლის ერთ ცხელ აგვისტოს დღეს, თბილისის ცაზე მოულოდნელად შავი ღრუბლები ჩამოწვა: საქართველომ სამუდამოდ დაკარგა თავისი ნატურული შვილი, გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი, მსოფლიოში ცნობილი მეან-გინეკოლოგი პროფ. ი. ჟორდანიას, რომელიც რიოდე-ჟანერიოსთან მომხდარ ავიაკატასტროფაში დაიღუპა. ეს სამწუხარო ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა მთელს ქვეყანაში და უდიდესი სულიერი ტკივილი მიაყენა მთელს სამედიცინო საზოგადოებას საქართველოსა და საბჭოთა კავშირში, განსაკუთრებით კი ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის ინსტიტუტის კოლექტივს, იმ ინსტიტუტისა, რომლის დამაარსებელი, სულისჩამდგმელი და დირექტორი თავად გახლდათ.

პროფ. ი. ჟორდანიას ცხოვრებისეული გზა ძალიან საინტერესო და მრავალმომცველია. იგი დაიბადა 1895 წლის 15 მაისს, ცნობილი ქართველი ისტორიკოსის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის თედო (ფიოდორ) ჟორდანიას ოჯახში. კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა რუსეთში, სადაც მიიღო არამარტო სამედიცინო განათლება, არამედ ჩამოყალიბდა როგორც გამოჩენილი მეცნიერი, ბრწყინვალე მასწავლებელი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. თავისი ცხოვრების ძირითადი ნაწილი, 1958 წლამდე, მან რუსეთში გაატარა, თუმცა, სამშობლო არასოდეს დავიწყებია.

რუსეთში მოღვაწეობა დაიწყო, როგორც ლენინგრადის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის მეან-გინეკოლოგიის ორდინატორმა, იყო I მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტის უმცროსი ასისტენტი, კუბიშვილის სამედიცინო ინსტიტუტის და ექიმთა დახელოვნების მოსკოვის ცენტრალური ინსტიტუტის დოცენტი, შემდგომში გახდა ნ.პიროგოვის სახელობის მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრის გამგე და ქ. მოსკოვის, შემდგომში კი სსრკ ჯანმრთელობის სამინისტროს მთავარი მეან-გინეკოლოგი. დიდი ხნის განმავლობაში იგი იყო საბჭოთა კავშირის მეან-გინეკოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარე.

უდიდესია მისი დამსახურება და წვლილი, განეული დიდი სამამულო ომის პერიოდში. 1942 წელს იგი პოლკოვნიკის რანგში დაინიშნა წითელი არმიის მთავარი სანიტარიული სამმართველოს მთავარ გინეკოლოგად. ი. ჟორდანიას სათავეში ედგა ორგანიზაციას, რომელიც სპეციალურ სამედიცინო დახმარებას უწევდა წითელ არმიაში მომსახურე მათას ქალს. ეს იყო ისტორიაში პირველი სამხედრო გინეკოლოგიური სამსახური, შექმნილი პროფ. ი. ჟორდანიას მი-



შეშვებული ბაღადა, ანუ უდიდესი პიროვნება, ვინაც „იმ წამს უარაჰანდელი საკუთარ ხელით ეპყრა“...

ანუ უდიდესი პიროვნება, ვინაც „იმ წამს უარაჰანდელი საკუთარ ხელით ეპყრა“...

ერ, რომელსაც თავად ედგა სათავეში როგორც მთავარი გინეკოლოგი. ამ მოვალეობას იგი 1947 წლამდე ასრულებდა.

უაღრესად მნიშვნელოვანია პროფ. ი. ჟორდანიას სამხედრო პერიოდის სამეცნიერო პრაქტიკული შრომები (სამხედრო ტრავმატიზმი, საორგანიზაციო საკითხები), რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს საბჭოთა არმიის გინეკოლოგიური სამსახურის ორგანიზაციასა და სრულიად ახალი დარგის შექმნას.

1943-45 წლებში ჟორდანიას ხელმძღვანელობით პირველად ჩატარდა ფაშისტური დამპყრობლებისაგან განთავისუფლებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ქალთა პროფილაქტიკური გინეკოლოგიური გამოკვლევა.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ, ჩაუდგა რა სათავეში ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის (1945), შემდგომში II მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტის (1952) მეანობა-გინეკოლოგიის კათედრას, ი. ჟორდანიამ უდიდესი წვლილი შეიტანა მეან-გინეკოლოგიის განვითარებაში. აღსანიშნავია, რომ, ის დიდ ყურადღებას ანიჭებდა ექსპერიმენტულ სამეცნიერო კვლევებსა და კლინიკის თეორიულ საფუძველს. ამის დასტურია მისი სადოქტორო დისერტაცია, რომელიც მიეძღვნა პიპოფიზის ჰორმონების გავლენას საშვილოსნოს კუმში აქტივობასა და ორსულობის მიმდინარეობაზე.

მეანობა-გინეკოლოგიის კათედრაზე ი. ჟორდანიამ დიდ ყურადღებას უთმობდა უშვილობის საკითხებს, მის პათოგენეზსა და მკურნალობას. ამ პრობლემამ განსაკუთრებით დიდი აქტუალობა შეიძინა 1958 წელს, მსოფლიოში პირველი, ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის (ამჟამად ი. ჟორდანიას სახ. რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი) სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დაარსების შემდეგ. ი. ჟორდანიას ინიციატივით ინსტიტუტში შეიქმნა სამეცნიერო განყოფილებები, ლაბორატორიები და 50-საწლიანი სტაციონარი. ინსტიტუტის პროფილს განსაზღვრავდა შემდეგი პრობლემები: 1) შობადობის გაზრდა; 2) აბორტთან ბრძოლა; 3) უშვილობასთან ბრძოლა; 4) რეპროდუქციული ასაკის გა-

ზანგრძლივება; 5) მამაკაცის უშვილობა; 6) მთელი საქართველოს მასშტაბით რეპროდუქტოლოგიაში სპეციალისტების მომზადება;

მართალია, მას შემდეგ 57 წელი გავიდა, მაგრამ პროფ. ი. ჟორდანიას მიერ შექმნილი იდეოლოგია სამოქმედო გეგმად ითვლება არა მხოლოდ მისი ინსტიტუტის, არამედ ყველა ექიმ-რეპროდუქტოლოგისთვის.

აღსანიშნავია ასევე, რომ მიუხედავად საქართველოში ხანმოკლე მოღვაწეობის პერიოდისა, ი. ჟორდანიამ — მეცნიერმა და ბრწყინვალე კლინიციკმა დააარსა ნაყოფიერებისა და უნაყოფობის საზოგადოება და ჩაატარა საკავშირო მასშტაბის 3 კონფერენცია (1959-1962), რამაც ხელი შეუწყო უცხოელ სპეციალისტებთან მჭიდრო სამეცნიერო კონტაქტებს. აღსანიშნავია ასევე, რომ იგი აქტიურად თანამშრომლობდა მასმედიასთან და მუდმივად აწვდიდა მათ ინფორმაციას.

საქართველოს დემოგრაფიული სპეციფიკიდან გამომდინარე, ი. ჟორდანიას პრაქტიკულ მოღვაწეობაში პირველ ადგილზე აყენებდა უშვილობის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პრობლემას. პროფ. ი. ჟორდანიამ თავის გარშემო შემოიკრიბა ახალგაზრდა ნიჭიერი კადრები, რომლებმაც განსაზღვრეს რესპუბლიკაში დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესების სამოქმედო პროგრამა და დემოგრაფიული სამსახურის დონე.

პროფ. ი. ჟორდანიამ ვერ მოასწრო თავის მიერ შექმნილი ბრწყინვალე იდეოლოგიის პრაქტიკული განხორციელება, რომელიც, ფაქტობრივად, 30 წლით უსწრებდა თავის ეპოქას. მხოლოდ ჩვენს წლებში გაიაზრეს პროგრესიულმა სამყარომ და ყოფილმა საბჭოთა ქვეყნებმა ი. ჟორდანიას იდეოლოგიის აქტუალობა.

რაც შეეხება საქართველოს, ჩვენ, პროფ. ი. ჟორდანიას მემკვიდრეებმა, 1985-2012 წლებში შევძელით პრაქტიკულად განგვეორციელებინა მისი იდეების ძირითადი მიმართულებები. აღვნიშნავთ მხოლოდ რამდენიმეს ჩვენი მიღწევებიდან:

- 1) 1997 წლიდან საქართველო გახდა პირველი ქვეყანა მსოფლიოში, სადაც რეპროდუქტოლოგია ოფიციალურად ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ სამედიცინო დისციპლინად (სარეგ. №140050);
- 2) შეიქმნა რეპროდუქტოლოგიური ქსელი (27 რეპროდუქტოლოგიური კონსულტაცია, 4 რეგიონალური რეპროდუქტოლოგიური ცენტრი, რეპროდუქციული ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი);
- 3) სერტიფიცირება და ლიცენზირება ექიმებისა და სამედიცინო დაწესებულებებისა რეპროდუქტოლოგიაში — დამოუკიდებლად;
- 4) შეიქმნა და მუშაობს რეპროდუქტოლოგიაში დისერტაციების დაცვის პირველი სპეციალიზებული საბჭო; 5) გამოდის ჟურნალი „რეპროდუქტოლოგია“; 6) დაარსდა ისტორიაში პირველი რეპროდუქტოლოგიის კათედრა (პროფ. ა. სომასურიძე).

